სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/93

ქ. თბილისი

6 ივნისი 2025 წ.

„სტუ-ის ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების განმახორციელებელი დარგობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის №01-05-04/207 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, ვახტანგ კვარაცხელიას 2025 წლის 03 ივნისის MES 9 25 0000618156 სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სტუ-ის ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების განმახორციელებელი დარგობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის №01-05-04/207 დადგენილების №2 დანართში და დანართის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

1. მელაძე ჰამლეტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);
2. სანიკიძე ზაზა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი (კომისიის მდივანი);
3. მენთეშაშვილი მარინე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;
4. ყაჭიაშვილი ქართლოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.
5. ტეტუნაშვილი შაქრო, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**